საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ დავით სონღულაშვილს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ქალბატონ მარიამ ქვრივიშვილს

დიდივანის, შუასურებისა და ზემოსურებისა სოფლების

მოსახლეობის

კოლექტიური მიმართვა

ჩვენ, მდინარე სუფსის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობა, ერთობლივად გწერთ, რათა დავაფიქსიროთ ჩვენი უარყოფითი პოზიცია ხეობაში დაგეგმილი 15 მეგავატი სიმძლავრის „სურები 2“ ჰესის მშენებლობის მიმართ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენს ხეობაში ინვესტორები ცდილობენ, თავს მოგვახვიონ ჰესის მშენებლობა და ის წარმოგვიჩინონ როგორც ხეობის გადარჩენის გზა.

პირველ რიგში, ჩვენ ვერ ვხედავთ დაგეგმილი ჰესის ე.წ. „სარგებელს“, სამაგიეროდ, ვხედავთ საფრთხეებს, რასაც ეს პროექტი მოუტანს როგორც ჩვენს სოფლებს, ისე მთლიანად რეგიონს.

ჰესის მშენებლობა რადიკალურად შეცვლის ჩვენს საცხოვრებელ გარემოს, დააზიანებს ხეობის ბუნებრივ ეკოსისტემას და საფრთხეს შეუქმნის იმ უნიკალურ გარემო პირობებს, რომლებშიც თაობებია ვცხოვრობთ.

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ინვესტორი გეგმავს მდინარეში მხოლოდ 0.36 მ3.წმ-ში წყლის დინების დატოვებას მთელი წლის განმავლობაში, რაც რეალურად მდინარის დაშრობას ნიშნავს. პრაქტიკულად, ჰესის განხორციელების შემთხვევაში, სამუდამოდ განადგურდება ჩვენი მდინარე, შეიცვლება ბუნებრივი ლანდშაფტი და გამოიწვევს ხეობის მიკროკლიმატის შეცვლას.
- სკოპინგის ანგარიშში ინვესტორი ირწმუნება, რომ თევზსავალს მოაწყობს, თუმცა თუ მდინარეში წყალი არ დარჩება (0.36 მ3.წმ-ში), რისთვის კეთდება ეს თევზსავალი გაუგებარია. არათუ კალმახი არ დარჩება მდინარეში, არამედ მივიღებთ დამშრალ კალაპოტს.
- მდინარის დინების პრაქტიკულად გაქრობა გამოიწვევს ხეობის მიკროკლიმატის ცვლილებას, რაც უარყოფითად აისახება როგორც სოფლის მეურნეობაზე, ისე ჩვენს ჯანმრთელობაზე და ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ამ ჰესის წლიური გამომუშავება თურმე იქნება 90 მლნ კვტ.სთ, ანუ საქართველოს ორი დღის მოხმარების ოდენობა. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა გავწიროთ ჩვენი ხეობა, ისეთი ენერგეტიკული პროექტისთვის, რომლის საჭიროება ქვეყნის ენერგოსისტემისთვის არ დგას.

- სკოპინგის ანგარიშში არაფერია ნათქვამი, გაკეთდა თუ არა პროექტის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი ქვეყნისთვის, სადაც დასაბუთდებოდა პროექტის საჭიროება.

ანგარიშში წარმოდგენილი დასაქმების დაპირება კი სასაცილოა, რადგან კომპანიას არც არავინ გადაუმზადებია ჩვენს ხეობაში და შესაბამისად, რა პოზიციებზე დაგვასაქმებს კომპანია, გაუგებარია.

- სკოპინგის ანგარიშში არ არის შეფასება გაკეთებული, რამხელა ტურისტული პოტენციალი გააჩნია ჩვენს ხეობას და რას დავკარგავთ ამ ჰესის აშენების შემთხვევაში. მდინარის 7 კმ-იან მონაკვეთს რომლის დაშრობასაც გამოიწვევს ჰესი, გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი ეკოტურიზმის განვითარებისთვის (კანიონი, ჩანჩქერები, ტბებია თავმოყრილი და იქ მოხტუნავე წითელი ნუსხის წითელწინწკლებიანი კალმახები და ა.შ);

- სკოპინგის ანგარიშში ისეა წარმოდგენილი თითქოს საპროექტო არეალში არ ფიქსირდება მეწყერსაშიში უბნები, რაც არ წარმოადგენს სინამდვილეს და ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას;

- სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი არც პროექტის სათანადო ალტერნატივები, მაგალითად სხვა ტექნოლოგიების კუთხით და არც პროექტის განუხორციელებლობის ალტერნატივა, რაც საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ არ დავუშვებთ პროექტის განხორციელებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს მომავალს, ჯანმრთელობას და ღირსეულ ცხოვრებას და მოვითხოვთ ამ ეტაპზევე შეწყდეს პროექტის შემდგომი განვითარება.

პატივისცემით,

ადგილობრივი მოსახლეობა - 222 ხელმოწერა